

ମନ୍ଦିର ଶତାବ୍ଦୀ

1909

୧୦୩୦ ୩୦୬୪୦୯ ୧୦୦୩୬୦

୫





በ የዚህ ሰነድ

ଫାରତ୍ୟୁଳି ଶ୍ରାମ୍ଭିକୀ ଦ୍ୱାରା ନିର୍ମିତ ପ୍ରେସ୍‌ରେ
1720-1920

1709—1909

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକଟାର୍ ମେଡିଆ

131.



1909 წ. ელექტროგამბეჭდავი აპტ. „შეკვეთი“, რუსეთის ქ., № 3.



მეფე ვახტანგ მემკვსე.

ვახტანგ მეფე დაიბადა 1675 წ. მამა ამისი იყო ლევან
მეფე, ნიჭიერი კაცი, ბრძენი, თავის დროის კვალად განათლე-
ბული. მცოდნე სპარსულის ენის, მწერლობის და მეცნიერე-
ბის. იცოდა არაბულიც კარგად და არაბთ ფილოსოფია და
მსწავლულთ მეცნიერებანიც, ნამეტურ ვარსკვლავთ-მრიცხვე-
ლობა. ამ მეფეს ირანის ყეინმა ყურადღება მიაქცია და თავის
ქვეყანაში მიიწვია, იქ მსაჯულობა მისცა, მთელს ირანს იგი
განაგებდა, იწოდებოდა: — „ლეონ ირანთა მსაჯული“. პირვე-
ლი ცოლის სიკვდილის შემდეგ, მეორე ცოლად მეფე ლეონ-
მა ავალიშვილის ქალი შეირთა. ამისაგან დაიბადა ვახტანგი.
11 წლის ვახტანგი მამამ სპარსეთში წაიყვანა, იქ სპარსთა სა-
სწავლებელში მისცა, სადაც სწავლობდა სპარსულს, არაბულს
და სხვა ენებს, მასთან მათ მსწავლულთა წიგნებს და მეცნიე-
რებასც.

ლეონს დაახლოვებული კავშირი აქვნდა სპარსეთში მყოფ
კათოლიკის მისიის ბერებთან, მაგალითებრ დომინიკიანელებ-
თან, ფრანცისკიანელებთან და კარმილიტიანელებთან. ლეონი
აშკარად მაჰმადის სჯულს აღიარებდა, საიდუმლოთ კი კათო-
ლიკე იყო. კათოლიკობაში აღესრულა, პატარა ვახტანგს ლა-
თინურს და ფრანგულ ენას ხსენებული ბერები ასწავლიდნენ,
მათ დიდი გავლენა აქვნდათ ვახტანგზედ.. დროს მიღწეულმა
ვახტანგმაც აღიარა კათოლიკობა და მერე საქართველოშიაც
დაბრუნდა და გამეფდა ქართლის ტახტზედ.

ვახტანგი იყო ნიჭიერი კაცი, ქართული მწიგნობარი,
ასევე ამის შვილი ვახტანგი და ბაქარიც მწიგნობრები იყვნენ.
ვახტანგმა სპარსულის ენიდამ სხვათა დახმარებით სთარგმნა
უქილილა და მანა“, რომელიც დღეს დაბეჭდილია. სთარგმნა

კიდევ „აიათი, ანუ „კოსმოგრაფია“, ოომელიც დაიბეჭდა თფილისში 1721 წ. შეადგინა „დასტურლამა“ საშეფო წეს-რიგის წიგნი, დღეს დაბეჭდილი უკვე. შეკრიბა ქართველების ყველა ძველი კანონები და მით დასწერა „სამართლის წიგნი“, დღეს წოდებული: ვახტანგ მეფის კანონებად. მთლად ნათარგმნია რუსულად და დაბეჭდილი ცალკე წიგნად 1882 წ. დიმიტრი ბაქრაძისაგან. შეკრიბა, ერთად მოათავსა და აღადგინა „ქართლის ცხოვრება“ და სხვაც მრავალი წიგნები სთარგმნა და დასწერა ქართულს ენაზელ.

მიწერ-მოწერა აქვნა საფრანგეთის, იტალიის და ევროპის სხვათა მეფეებთან, მათ სთხოვდა საქართველოს დახმარებას, საფრანგეთში 1713 წ. საბა ორბელიანი გაგზავნა და პაპს და ლუდოვიკ 14-მეტეს დახმარებას ევედრებოდა და მასთანვე პპირდებოდა კათოლიკის სარწმუნოების ვრცელებას და მთელ საქართველოს დაკავშირებას რომთან. ამის პირობების შესახებ იხილეთ ჩვენი წიგნი: — „საქართველოს შესახებ ევროპიელთ მოგზაურთა ცნობები“, მეტად თვალთ საჩინო შრომას. შეადგენს ვახტანგ მეფის მიერ თფილისში სტამბის დაარსება. ვახტანგზედ წინედ სტამბის საქმის გახსნას გულმხურვალედ მისი-დევდა არჩილ მეფე, რუსეთში, XVII საუკ. ბოლოს, ამ მეფები 1697 წ. მოსკოვში ხუცური და მხედრული ასოების ყალიბებიც ჩამოასხმევინა. XVII საუკ. ბოლოს, ვალახიაში სცხოვრებდა ერთი ქართველი ეპისკოპოსი; ამ ეპისკოპოსმა იქ გაიცნო სასტამბო საქმეები, მერე იქ ქართული ასოებიც ჩამოასხმევინა, ნიმუშად პატარა ფურცელიც დაბეჭდა და საქართველოში გამოგზავნა, ეს ნაბეჭდი ყველას მოეწონად, მერე იქიდამ სტატები და სტამბის იარაღიც დაიბარეს. და 1909 წლისთვის თფილისში სტამბაც გახსნეს და წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს.

ვახტანგ მეფეს ბევრნაირი შრომა აქვს დადებული ამ სტამბის გახსნაზედ, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო 1724 წლებს, იგი თავის შვილებით რუსეთში გადასახლდა, პეტრე დიდმა-იგი დიდის პატივით მიიღო, იგი დანიშნეს სპარსეთის ზოგი

რამ ქალაქების ასაღებად კასპის ზღვის ნაპირებზედ, ამიტომ ვახტანგს ხშირად უხდებოდა აქეთ-იქით მგზავრობა. 1737 წ. იგი ასტარხანში გარდაიცვალა უნდა ვსოდებათ, რომ უკანასკნელ დროებში, ვახტანგ მეფე ვერ მოიქცა კარგად, თვითონ თავის დიდებულებით რუსეთში გადასახლდა, იქ შეაფარა თავი და მთელი ქართლ-კახეთი კი მტერს მისცა პირში, რაც მის ცხოვრებას ერთობ ამდაბლებს ამის შესახებ მის ცხოვრებაში ჩვენ ვრცლად გვაქცეს საუბარი, ამიტომ აქ ეს ვიკმართოდ.

არჩილ მეფე. ისტორიით ვიცით, რომ არჩილ მეორე XVII საუკ. ბოლოს რუსეთში გადასახლდა დროებით. სტამბის საქმისთვის მოსკოვში პირველად ამას უმეცადინია, ასე რომ 1695 წ. მოსკოვში ქართული ასოების ყალიბებიც გაუკეთებინებია. ასე რომ ვახტანგ მეექვსეს თავის სტამბის გახსნისთვის, მოსკოვიდამ სასტაშბო ცნობები არჩილის წყალობით წინადვე ჰქონია გაგონილი და გაცნობილი. არჩილ მეფისაგან გაკეთებულის ასოებით ქართული სანიმუშო ფურცელი პირველად მოსკოვში 1703 წ. დაბეჭდილა. ყველაზედ დიდი მნიშვნელობა რომში დაარსებულ ქართულ სტამბას და წიგნების ბეჭდვას ჰქონდა, სადაც ქართული სტამბა თფილისის სტამბაზედ 82 წლის წინედ დაარსეს. ასე რომ სასტამბო ასპარეზზედ რამდენათაც ვახტანგ მეფეა ღმაგდარი, ამაზედ არა ნაკლებ არჩილი გახლავსთ, ლევანი და სხვანიც.

ქართული სტამბა.

პირველი ქართული სტამბა გაიხსნა 1627 წ. ქ. რომში, ჰაპი ურბან მერვეს დროს, მისივე კონგრეგაციის დახმარებით.

პირველად ქართული წიგნი დაიბეჭდა 1627 წ. იმავე ქ. რომში.

პირველი ქართული სტამბა თფილისში დაარსდა 1708 წ.

პირველად ქართული წიგნი ამ სტამბაში დაიბეჭდა 1709 წ.

იმერეთში გაიხსნა სტამბა 1780 წ. იგი ხან საჩერებს არსებობდა, ხან წევას და ხან ქუთაისს.

მოსკოვს გაიხსნა სტამბა ახალის ცნობებით 1706 წ. და
არა 1744 წ. ეს როგორც აქამდე იყო შილებული. 1744 წ.
ძველი სტამბა განაახლეს თურმე.

პეტერბურგს გრიგოლ ხარჭაშნელმა გახსნა 1786 წ. ამა-
ზედ იხილუთ მეორე წიგნში.

გლადიომერს გაიხსნა 1757 წ. ანტონ კათალიკოზის მე-
თაურობით.

კრემენჩუგს გაიხსნა 1791 წ. გაიოს ნაცვლიშვილისაგან.
იქ დაიბეჭდა ქართული გრამატიკა.

მოზღვეს გაიხსნა 1798 წ. აქ ქართული წიგნებიც დაი-
ბეჭდა და ოსთათვის ლოცვის წიგნი ქართულის ასოებით,
დღეს ეს წიგნები იშვიათია ერთობ. დამბეჭდი იყო გაიოს ნა-
ცვლისშვილი.

ვენეციას გაიხსნა 1850 წ. მეთაურები იყვნენ ქართველ
კათოლიკეთ მოძღვარნი. წიგნებიც ბეჭდეს.

მონობანს (ფრანგია) გაიხსნა 1876 წ. ქართველთ კა-
თოლიკეთ მოძღვართაგან, აქაც იბეჭდებოდა წიგნები:

კონსტანტინეპოლის გაიხსნა 1876 წ. პეტრე ხარისჭირა-
შვილის შრომით და ცდით. აქ დღემდეც არსებობს სტამბა და
იბეჭდება წიგნები.

კავკავს გაიხსნა 1902 წ. აქ ერთი წიგნიც დაიბეჭდა.
უვირილას გაიხსნა 1885 წ. მლ. დავ. ლამბაშიძისაგან.

თელავს გაიხსნა 1890 წ. ექ. ხელაძისაგან.

სილნახს გაიხსნა 1892 წ. ამავ. პირისაგან, ორივ სტამბა-
ში ქართული წიგნებიც გამოიცენ სხვა და სხვა დროს.

თბილისი გაიხსნა 1886 წელს, კოწია თავართქი-
ლაძისაგან. აქ იბეჭდებოდენ ქართული წიგნები.

ბათუმს პირველი რუსულ-ქართული სტამბა გაიხსნა
1880 წ. ალ. მახარაძისაგან. ამ სტამბის გახსნის დროს, ბა-
თუმი რუსთაგან ახალი აღებული იყო და ამიტომ ბათუმში
სტამბის გახსნა იმ დროს სამაგალითო იყო ალ. მახარაძისაგან

სენაკში გაიხსნა პირველად 1891 წ. კ. თავართქილაძი-
საგან, სადაც დიდათ იმუშავა ქართული წიგნების ბეჭდვაზედ

სიო ჩითანის ძე თავართქილაძემ, რომელიც ამავ შრომით დაუძლურდა და გარდაიცვალა. სენაკში სამაგალითო იყო ეს სტამბა, ამ პირს დიდი ამაგი აქვს დადებული მეგრელებში ქართულიწიგნების ბეჭდვის ვრცელების საქმეზედ.

ხომ გაიხსნა პირველი სტამბა 1890 წ. არსებობს იგი პატარად, თუმცა ხონის მცხოვრებთა რიცხვი კი აუცილებლივ ითხოვს სტამბის გაფართოვებას.

ზუგდიდს გაიხსნა 1893 წ. ლავრენტი ტულუშისაგან. ცოტა ხანს იარსება.

საქართველოში, სასტამბო საქმეებისათვის ცენზორი დანიშნულ იქმნა 1707 წ. თვით ვახტანგ მეფისაგან. მაშინდელი ცენზორები ყურადღებას აპყრობდნენ თვით წიგნების შინაარსის და ჰაზრების სისწორესაც. რომ კიცხვას გარეშე რამე სიყილბე არაფრის ყოფილიყოს. •

პირველი ქართული ცენზორი იყო სასულიერო პირთაგანი, ეს აეწინაღმდეგა. თვით ვახტანგ მეფეს და 1711 წ. „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემას არ უშვებდა. მათ შინაარსი არ ესმოდათ. მერე ვახ. მეფემ „ვეფხის ტყაოსნის“ ახსნა სამღრთოდ ახსნა და მის გამო დართეს. ნება ბეჭდვის. ეს ახსნა თვით იმ დროის გამოცემულს „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოშია მოთავსებული. ახსნა ყალბად არის. მაინც 1767 წ. ანტონ კათოლიკოზის ცენზორამ შეაგროვა. ეს გამოცემა და თფილისში დასწევს, ზოგი ტკაცარში ჩაყარეს.

პირველი ასოთ ამწუობნი და მბეჭდავნი.

პაულინი, მსწავლული მისიონერ-მწიგნობარი, რომში, 1627 წ. სტამბის გახსნაში მიიღო მონაწილეობა, წიგნიც შეადგინა, ამოაწყო და დაბეჭდა კიდეც.

მაჯი, აგრეთვე ამავ დროის მისიონერი, მოღვაწე, მწიგნობარი და წიგნების მბეჭდავი 1627 წ.

ნიკიფორე ირბახია ქართველი — მეგრელი. ქართველ მეფეთა დესპანად ნამყოფი მრავლგზის ევროპაში. ყოფილი ის-

პანიას, რომს, საფრანგეთს, ინგლისს; ავსტრიას და სხვაგან. მულდნე ევროპიულის ენების. 1620 წლებს, იგი რომში დაუკავშირდა კათოლიკობას და 1627 წ. მიიღო დიდი მონარქიულეობა რომის ქართულ სტამბის დაარსებასა და წიგნების ბეჭდვაში ამოწყობითაც კი.

შემდეგ დროს ამწყობლებზედ ჩვენ არა ვიცით რა..

მიხეილ სტეფანეს ძე შესტამბე, ანუ ამწყობი და მბეჭდავი. 1708 წ. ვახტანგ მეფის სტამბის მეთაური. ამ მეთაურ მესტამბის სახელს თვით იმ დროს დაბეჭდილ წიგნებზედ მოთავსებული ლექსები ასე მოიხსენებენ: „და ნადვაწი მისი მლაცველის, მესტამბე მიხაელის“.

მიხეილ სტეფანეს ძე ტომით უნგრეთ-ვალახიელი ყოფილი. ეს ყოფილა ვახტანგ მეფის სტამბის მეთაურ-გამგე. ამას ჰყოლია მეორე პირიც თვისი თანამემამულე, ხოლო მისი სახელი არ სჩანს. ამას გარდა ქართველთ მუშები და მოწაფენი ჰყოლიათ, მუშები იქმნებოდენ მურის წამსმელნი და სხვა ასეთ საქმის მკეთებელნი და მოწაფენი იქმნებოდენ ასოების ამოსაწყობად. სამწუხაროდ არც ამათი ცნობები სჩანს. მიხაელ სტეფანესძეს ცხოვრება საქართველოში 1730 წლის შემდეგ აღარ სჩანს. ვგონებთ, რომ იგინიც ვახტანგ მეფეს გადაჰყენენ მოსკოვს და იქ მიიღეს მონარქიულეობა. 1740 წლებს მოსკოვის ქართული სტამბის განახლებასა და მოწყობაში.

1725 წ. შემდეგ, თფილისში ქართული სტამბის საქმე თითქოს შეჩერდა, თითქოს მოისპო. 1731 წ. მხოლოდ ერთი პატარა წიგნი დაბეჭდა. რომში კი 1733 წ. პატრია ტულუკანთ დავითამ დაიბეჭდა ვრცელი წიგნი: „საქრისტიანო მოძღვრება“ ქართველ კათოლიკეთათვის. რაც შეეხება სტამბის მუშათა საქმეს, ეს კი ჩვენთვის მეტად უცნობია. 1730—1760 წლამდე გამოიცენ ორიოდე წიგნი სასულიერო შინაარსის, სადაც მოხსენებულ არს, რომ იგინი დაბეჭდილ იქმნენ თეიმურაზ მეორის დროს. ის კი ვიცით, რომ 1709 წ. გახსნილ სტამბაში, სხვათა შორის, სტამბის ხელობა უსწავლია. მარტ-

ყოფელ ქრისტეფორე კეშერაშვილს. მერე ეს მღვდლად ეკურ-
თხა.

ქრისტეფორე კეშერაშვილი. მღვდელი, ამწყობი და
მბეჭდავი. ეს იყო გამგე მეფე ერეკლეს დროის სტამბის. მა-
შინდელი სტამბა არსებობდა მეტებში. ამან დაბეჭდა მაშინ
„დაუჯდომელი“ 700 ც., „კიტაის სიბრძნე“ 700 ც., ლო-
ცვანი 1000 ც., სახარება 1000 ც., „მარხვანი“ 1000 ც.
ეს რიცხვი წიგნების იმ დროის კვალიად ერთობ კაი რიცხვია.

დავით კეშერაშვილი. მესტამბე ამწყობი და მბეჭდავი.
ნათესავი ქრისტეფორესი, იქმნება ან ძმა, მცოდნე მესტამბე.
მერე მღვდლად კურთხეული.

რომანოზ ზუბაშვილი, ზოგნი ზუბალაშვილიდ ხმარო-
ბენ ამ გვარს. მცოდნე სასტამბო საქმეების, ესე იგი ამწყობი
და დამბეჭდიც. არის თანამედროვე მეფე ერეკლესი და ქრის-
ტეფორე და დავით კეშერაშვილებისა. უმთავრესად გამგე ამ
სტამბის ეს ყოფილა და კეშერაშვილებზედ უფროსობაც უნდა
ჰკავებოდა სტამბაში.

მღვდელ-მონოზონი ნიკოლოზ ობდელიანი. ქვრივო-
ბაში ბერად შესული, მერე თფილელ მიტროპოლიტი. მცო-
დნე სტამბის მართვა-გამგეობის და ხელოსნობის 1708 წლი-
დამ. ეს მღვდელ მონოზონი ვახტანგ მეფის დედის ძმის-
წული ყოფილა.

მიქელ მესტამბე. ამწყობი და მბეჭდავი. ვახტანგ მეფის
კარის ეკულესის მღვდლის შვილი. მიხეილი სხვა იყო.

ქრისტეფორე გურამიშვილი, ხუცეს მონოზონი, ამწყო-
ბი და მბეჭდავი მოსკოვის ქართულ სტამბაში 1750 წლებამდის.

ფილიპე მღვდელი, იმერელი, რუსეთში ყოფილი, მოს-
კოვს, 1750 წ., დაქვრივდა; მერე თფილისში დაბრუნდა,
შემდეგ ბერბდ შედგა და ბოლოს ეპისკოპოზათაც იქმნა აყვა-
ნილი ხოფის მონასტერში. ხოფის აოხრების შემდეგ ისევ-
რუსეთში გადასახლდა და იქ გარდაიცვალა 1780 წლებში;
იყო ამწყობი და მბეჭდავიც.

იოსებ სამებელი, მცოდნე აწყობის ხუცურის და მხე-

დორულის მოსკოვის სტამბაში. ამან დაარსა მოსკოვს მეორე ქართული სტამბა, მერე ეს სტამბა ბაქარის სტამბას შეუერთა 1737 წელს.

დავით მღვდელი. მესტამბე, ამწყობი ხუცურ-მხედრულის. სცხოვრებდა მოსკოვს, იყო თანამედროვე ვახტანგ მეფის, გარდაიცვალა მოსკოვს 1760 წელს.

მელქისედეკ აბელიშვილი კავკასიძე, ამწყობი და მბეჭდავი 1740 წ. მოსკოვის სტამბის. ეს პირი იყო ვახტანგ მეფის სტამბის მდივნათაცა თფილისში.

სჩანს, რომ 1709 წ. თფილისის სტამბის ამწყობნი და მბეჭდავნი ვალახიელ მიხეილს გარდა ყოფილან ქრისტეფორე გურამიშვილი, დავით მღვდელი, ფილიპე მღვდელ მონოზონი, მელიქშედეკ კავკასიძე, მიქელ მესტამბე და რამდენიმეც სხვანი, რომელთაც 1709 წ. 1770 წლამდის მოუღწევიათ.

გიორგი ლამბარაშვილი. ამწყობი და მბეჭდავი მოსკოვის სტამბის 1740 წლიდამ.

ათანასე ამილახვარი, ტფილელ მიტროპოლიტი; მცოდნე ამწყობის კარგად. 1759 წ. რუსეთში წავიდა. ეს იყო მომხრე ვახტანგის ოჯახის და წინააღმდეგი ერეკლესი. 1765 წ. ვლადიმერიდამ ამან გადმოიტანა მოსკოვში ქართული სტამბა, მოსკოვის სტამბას შეუერთა და წიგნების ბეჭდვაც დაიწყო.

მესტამბე—ამწყობ-მბეჭდავი პაიჭაძე. 1786 წლიდამ, ჰეტერბურგის ქართულ სტამბის მოძყობ-მეთაური. პაიჭაძემ XIX საუკუნესაც კარგა ხანს მოესწრა.

სვიმონ ტაბიძე. მესტამბე, ამწყობი. პაიჭაძეს შემდეგ ესა სჩანს XIX საუკ. ჰეტერბურგის და მოსკოვს. რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთაგან დასაბეჭდ წიგნებს სულ ეს ამწყობდა, ასევე ბროსესი და დ. ჩუბინაშვილის წიგნებს. ბროსე სწერს 1840 წ. გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლოს: „სვიმონ მესტამბე ტაბიძე, სტამბაზე იურ მცდელია, დაგრეშდეთ წიგნი ას ახლად განახლდა ძველის ძველია.“

ზაქარია არჭიმანდრიტა გაენათისა. იმერეთის სტამბის გახსნის დღესვე ამწყობი და სტამბის საქმეთა მცნობი.

რომანოზ რაზმაძე, იმერეთის სტამბის ამწყობი და მბეჭდავი 1786 წლებში.

იმერეთში ასოს ამოწყობა და ბეჭდვა ბევრს უსწავლია, იქ ასეთი ხელოსანთ რიცხვი დიდი ყოფილა. ხოლო ჩვენ მათი სახელები არ ვიცით.

თფილისის ძველი სტამბა გაიხსნა 1707 წ. წიგნები გამოიცენ 1709 წლიდამ. მერე ეს სტამბა 1835 წ. დაიკეტა. 1740 წ. განახლდა. 1770 წ. დაძველდა. 1782 წ. კვალად განახლდა. ერთის ცნობით სჩანს, რომ ეს განახლება 1780 წ. მეფე ერეკლეს 30 ათი ათასი მანათი დასჯდომია. ამ განახლებულ სტამბაში სხვათა შორის მესტამბე გამგეთ ყოფილან შემდეგნი პირნი:

პოლოს ოჟანეზოფი, სტამბოლიდამ მოსული მესტამბე, ამომწყობი და მბეჭდავი. ეს პირი სტამბოლიდამ მეფის თხოვნით მოვიდა თფილისში 1780 წ.

ტერ დავით ოჟანეზოფი. პოლოსას ძმა, ან სახლი კაცი უნდა იყოს, ესეც სტამბოლიდამ მოვიდა თფილისში 1780 წ; ეს ორი პირი მეფისთვის სტამბოლიდამ ბერძენთ მელიტიოს. არქიმანდრიტს გამოუგზავნია.. ესენი თფილისში მაღე მოვიდნენ და მეფეს ეახლნენ. მხლე ქართული ენაც შეისწავლეს. 1781 წლისთვის ძველი სტამბაც განახლეს, ეს იყო იმ დროს მეორე სტამბა თფილისში, ერთი სასულიერო, კეუერა შვილისა, არსებობდა მეტებში და მეორე ეს ახალი სტამბა, სადაც ეს სტამბოლელი სომხები შრომობდნენ. ამათ ქართული ენით მაღე წერაც დაიწყეს და 1782 წ. გამოსცეს ამ განახლებულ სტამბის ისტორია, სადაც აქებენ დიდათ მეფე ერეკლეს. ეს წიგნი გაზეთის მსგავსად არის.

აქ დაურთამთ შემდეგსაც:

პირველ ქართულ საგაზეთო ფურცლების გამოცემაც 1783 წლიდამ იწყება. ძველ კაცთაგან გამიგონია, რომ ამ განცხადების მსგავს გამოცემას „ლეპორტი“ ერქვათ. ზოგნი იტყოდნენ ხოლმე „უწყება და ბძანებაო“.

პირველი რუსული გაზეთი გამოიცა რუსეთში 1703 წ. პეტრე დიდის დროს.

პირველი სომხური გაზეთი გამოიცა ინდოეთს; მაღრასეს და კალკუტას 1796 წ. სახელშოდებით „აზდარარი“ იქაურის მღვდლის ტერ შმოვანის მიერ.

პირველი ქართული გაზეთი გამოიცა თფილისში 1818 წ. პარტიდამ. ვინ იყო რედაქტორი ამისი? ჩვენ არ ვიცათ.

პირველი ქართული წარმოდგენა, ანუ თეატრი ტფილისში გამართეს 1785 წ. თიატრი გამართა გაბრიელ მაიორმა, რეჯისეთში ნამყოფ-ნამსახურმა და საქართველოში დაბრუნებულმა. მაშინდელ თეატრის ბილეთმა ჩვენამდისაც მოაღწიეს. ბილეთი დაბეჭდილია სტამბაში და ზედ აწერის ასე: „შაური თრი, გაბრიელ მაიორი“. ლექსად არის, ე. ი. ბილეთი არი შაურიო.

ახალი დროის სტამბები.

ყვირილის მეორე სტამბა. ყვირილის ახალგაზრდებთ და ნამეტურ ვანო არღიშვილის წაქეზებით და ბეჭდვის სიყვარულით, ყვირილაში გაიხსნა მეორე სტამბა: გამხსნელი მისი იყო მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე. ეს სტამბა აკლებულ იქმნა სხვა და სხვათ მიერ 1905 წ. იმ დროს, როცა აიკლეს მთელი ყვირილა და დასწვეს იმავ მის. გაჩეჩილაძის სახლ-კარი და დუჭნები. ასე აღესრულა ეს სტამბა. ამ სტამბაში პირველად იწყეს სხვა და სხვა ქართული სამოქალაქო შინაარსიანი წიგნების ბეჭდვა.

ფოთის მეორე სტამბა გახსნა აბ. ვალუჟკორიამ 1903 წ. და მით საქმე გაუნახევრა თავის ნაოსტატარ ლავრენტი ტულუშს. 1905 წელს ეს სტამბა ბორჯომში გადმოიტანა. ბორჯომში საქმე კარგად ჩისდიოდა, მაგრამ იმავ წლის ბოლოს ეს სტამბა მან ისევ ფოთს გადიტანა, რადგანაც ფოთში ტულუშის სტამბას უბედურება ეწვია, დროებით დაიკეტა და პატრონიც არ იყო იმ დროს იქ: მერე ეს სტამბაც გაიხსნა, ეხლა იქ ორი სტამბა არის, აქ, ბორჯომს მოსცილდა და იქ არც თვით გაიკეთა საქმე კარგად. აქ ეს მიტომ აღვნიშნეთ, რომ დავხატოთ ქართველი კაცის ლვარძლით სავსე თვისება. ეგები შემდეგ მაინც მოვშორდეთ ერთმანერთის ჯიბრს, ჭამიობას და სხვანი. მიკვირს ჭრშმარიტად ჩვენი ასეთი გათახ-სირება და ერთმანეთის დაღუბვა და გაფუჭება. ტყუილად არ

უთქვამსთ: შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღდგა გი-
ხაროდესო. ბორჯომის ტყუილად მოსცილდა.

სტამბა „სორაპანი“ თუ შორაპანი უნდა იყოს, გაიხსნა
ქ. ტფილის 1906 წ. მაღათოვის კუნძულზედ, ამ სტამბის
მეთაურად და პატრონად ითვლება მიხეილ გაჩეჩილაძე. სტამ-
ბაში სხვა ამხანაგებიც ჰყავს მოსაქმიანედ. მთავრობისაგან
ნება რთვა მე მჭონდა აღებული, პასუხისმგებელი მე ვიყავ.
გახსნის სამი თვის შემდეგ ეს სტამბა წიგნი ვირი უა მუშას“
დაბეჭდვის გამო დროებით დაკეტეს, მეც მეტეხის ციხეში
დამაპატიმრეს, ვიჯექ ერთ თვეს, მერე გამოველ და სტამბაც
გავახსნევინდ. გახსნის შემდეგ, დეკემბრის 9-ს, კვირა საღამოს,
8 საათზედ, სტამბას ამერიკანკის მაშინა მოჰკარეს, ამ გარე-
მოებამ დიდი დავიდარაბა გამოიწვია იმ დროის მთავრობის
წინაშე. სტამბა დაკეტეს, მე მიჭრდენ, მაგრამ მიხეილ გაჩე-
ჩილაძემ მთავრობას უთხრა: პატრონი მე ვარო, ამიტომ იგი
დააპატიმრეს, მასთან სტამბის ოთხი ასოთამწყობიც. მაშინა
ვერ იპოვნეს. ერთი თვის შემდეგ მიხეილ გაჩეჩილაძე და მისი
ასოთამწყობი გაანთავისუფლეს. მერე სტამბაც გაიხსნა. მას
შემდეგ არსებობს ეს სტამბა. იგი ხელს უწყობს დიდათ ქარ-
თული წიგნების გამოცემას, უურნალ-გაზეთების გამრავლებას
და სხვანი. თვით მიხეილი შოქმედებს ენერგიულად და ქარ-
თული წიგნების გამოცემის საქმეს მხურვალედ თანაუგრძნობს
და ავრცელებს. ასეთ სამახსოვრო საქმის დიდი თანამგრძნო-
ბია გიორგი მიხეილის ძე ჩივაძე, რომელიც დიდს ზნეობრივ
ვალს უზდის თავის მხრივ ამ სტამბას.

„იმედის“ სტამბა: თფილისში ბათუმიდამ გადმოიტანა
1903 წ. თავართქილაძემ. რადგანაც ამ პირის შესახებ წიგნში
გვაქვს ლაპარაკი, ამიტომ აქ პევრს არას ვიღუვით. თფილის-
ში უმთავრესად კოწია თავართქილაძეც ხელს უწყობდა ქარ-
თული წიგნების და გაზეთების გამოცემას. იგი ერთხნობით
ქართული გაზეთის რედაქტორიც იყო. მთავრობამ დასაჯა,
წლინახევრით ციხე მიუსაჯა, ეხლა დაპატიმრებულია მეტეხის

ციხეში და იქ განაგებს მეტების სატუსალო სტამბას, რომელიც 1908 წ. განაახლეს გახსნით.

სტამბა ასლან სამუელის ძე კალანდაძესი. არსებობს თფილისში, იგი გაიხსნა 1907 წ. ჯერედ პატარა სტამბა იყო, მერე ნელ-ნელა მოუმატა საბეჭდავი იარალი და დღეს კარგს სტამბათ ითვლება. თვით ასლან კალანდაძეც არის მწიგნობარი კაცი, მისდევს ქართული წიგნების ბეჭდვას. სხვა და სხვა დროს ბეჭდავს სასარგებლო ქართულს წიგნებს. ამისავე სტამბაში ხშირად იბეჭდებიან რუსული და ქართული გაზეთებიც, დრო გამოცემითი საქმეებსაც ხელს უწყობს, ერთ დროს რუსულ გაზეთის რედაქტორიც გახლდათ, ბეჭდვის და სტამბის გამო მცირე ხანს პატიმრათაც გახლდათ მეტების ციხეში 1908 წ.

გუთენბერგის სტამბა. გახსნილი პირველიც ვალერიან გუნიასაგან; მერე გრიგოლ დიასამიძემ შეიძინა. დღეს იგი ეკუთვნის ბორის სპირილონის ძე ესაძეს. ეს პირი რუსულს ენაზედ მწერლობს. კიდეც, სწერს სხვა და სხვა ისტორიულ წერილებს საქართველოს შესახებ.. არის რედაქტორად სამხედრო გაზეთის. ქართულ წიგნების და გაზეთების გამოცემის საქმესაც თანაუგრძნობს.

მეორე სტამბა გორში. წინედ ეს სტამბა თფილისში, გრი. ჩარკვიანს ეკუთვნილდა. გრიგოლ ჩარკვიანი ამ სტამბის გამო ბევრჯერ იქმნა მთავრობისაგან დასჯილი, გადასახლებული და სხვანი. ამ კაცს მობეზრდა ერთ თავად უსიამოვნება მთავრობასთან, ამიტომ ამან გაიმეტა თავის ნაამაგდარი სტამბა და გაყიდა. იყიდეს მაჟავარიანმა და მის ამხანაგებმა და გადიტანეს გორს. გორში მეორე სტამბაც არის არსენ კალანდაძისა, რომელიც აღრიდანვე არსებობს.. ამიტომ უკეთესს იზავდენ ეს პირნი, რომ ეს სტამბა სხვა რომელიმე ქალაქში გადეტანათ, თუნდ ბორჯომს, სადაც საქმე ბევრად უფრო მეტი ექნებოდათ.. დღეს გორში ორი სტამბა არის, ლმერთა ქმნას, რომ ორივეს საქმე კარგად წაუვიდესთ, მაგრამ ვეჭვობთ ამაში.

„ცისკარი“ სტამბა. გახსნა ბარ. კილაძემ 1908 წ. ბათუმის მესტამბე ამხანაგ თავართქილიაძეს გაეყარა და თფილისში გადამოიტანა. თვითონ ბ. კილაძე ამ ხელობის კაცია, მოხერხებული, ჯერედ სტამბა ახალი არის, იმედია თფილისში გაფართოვდება. მომავალი ექნება ენერგიულ ჭაცს.

სტამბა „იდეალი“ თფილისში გაიხსნა 1906 წ. პატრონი მისი მიხეილ კიკნაძე, თვით ხელობითაც სტამბის მულდნეა, ასოთ-ამწყობია. ერთ დროს პარიზშიაც იყო, იქაც სტამბაში მუშაობდა, იქ რომ ქართული გაზეთი და წიგნები გამოდიოდა, ეს აწყობდა ყველას. თვითონ მიხეილი ენერგიული კაცია, ქართული მწიგნობარი, ჯერეთ სულ ახალგაზრდა ასოთ-ამწყობი იყო, რომ მან ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. საზოგადოთ ეროვნულ საქმეებს დიდათ აფასებს და ქართული ბეჭდვის საქმესაც ჰქომავობს. მისი სტამბის არსებობაც კარგად უწყობს ხელს ქართულ ეურნალ-გაზეთების და წიგნების ბეჭდვას, მოკლე დროის განმავლობაში, მის სტამბაში ბევრი რამ ჩინებული ქართული წიგნი დაიბეჭდა და კიდევაც დაიბეჭდება შემდეგ;

სტამბა „შრომა“, ოთხი ქართველი და რუსის ებრაელი ერთად შეერთდენ და 1903 წ. მიხაილოვის ქუჩაზე და სტამბა გახსნეს, შიგ მოაწყეს ქართული ასოებიც, მანქანა და სხვანი. 1907 წ. ქართველებს ებრაელი გაშორდა, სტამბა გაიყენეს, ქართველებმა 1907 წ. ცალკე გახსნეს სტამბა. ესენი არიან შემდეგი ამხანაგება: ვასილ ყარამანის ძე; ოეოფილე ერასტის ძე და გიორგი ყაფლანის ძე ბოლქვაძეები, მელიტონ პეტრეს ძე ნოდია და მეხუთე ვლადიმერ მალაქიას ძე ცქიტიშვილი. სტამბის გახსნის დღიდგანვე ამათ საქმეს გულმხურვალედ მოჰკიდეს ხელი, ნამეტურ ქართულ წიგნების ბეჭდვას. ამათის დახმარებით რამდენიმე გაზეთიც გამოიცა, ერთი მათგანი ქართული გაზეთის რედაქტორიც იყო. პევრს რედაქტორს და გამომცემელს შეუწყეს. ხელით თვითონ მწიგნობარი პირნი არიან, სტამბის ხელობის მულდნენი და მასთან სახელოსნოს, და სამწიგნობრო ენერგიითაც აღვსილნი. ესენივე ხელს უწ-


ყობდენ გამოცემის მხრით ნახატებიან უურნალ „ეშმაკის მა-
თრახს“. ამათ სტამბაში ბევრი კარგი კლასიკურია წიგნი გა-
მოიცა. ამ ხუთი ქართველის ამხანაგობა ჩვენთვის საკორვე-
ლია და თან სასიამოვნო მოვლენაც. ისტორიულად დღემდე
დასაბუთებულია ქართველების უერთობა, დარღვევა და სხვანი.
სადაც კი რამე საერთო საამხანაგო საქმე დაარსდა, რამდენი-
მე ხნის შემდეგ, მათ შორის საქმე დაემხო და თვით ქართვე-
ლი ამხანაგებიც დაირღვნენ, მათში მოისპო ის მცირე სიყვა-
რულიც, რაც კი მათში მანამდის არსებობდა. ასეთ დარღვე-
ულს და დასარღვევ სასტამბო საქმეებს მეც მოვესწარ და
ამხანაგებთა განშორების დროს შუა კაცათაც ვყოფილვართ.
მაგალითად გიგო ჩარკვიანის ამხანაგებს როცა ვაცალკევებ-
დით და სტამბას სამ ნაწილად ვყოფდით, შუა კაცებად იყვნენ.
ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, პოეტი რაფიელ ერისთავი,
მწერალი, ისახებ ბაქრაძე და მე. ვნახეთ ბევრი აუალ-მაყალი
და ამხანაგებისაგან ერთმანეთის ცემაც. მაშინ დიმ. ბაქრაძემ
ეს სთქვა: „ქართველებზ, ისევ ცალპ-ცალპ თორემ ერთობით და
ამხანაგებით ერთმანეთს დასჭამთ. თქვენში ის მცირე სიუვარულიც
მთასწობა ამის საშუალებით, რაც კი დღემდე ასებობს“. ესა
სთქვა დიმ. ბაქრაძემ და ამაში იგი მართალიც იყო და გულ-
გატეხილიც, რადგანაც ჩვენ მომსწრენი ვიყავით საამხანაგო
სახელოსნოების და სავაჭროების, რომელნიც სოკოსავებ იბა-
დებოდენ და ვხედავდით იმასაც, თუ ეს ამხანაგობანი მოკლე
დროის განმავლობაში როგორ ეცემდენ და ამხანაგები კი-
დევ როგორ სწერავდენ ერთმანერთს. ღმერთმა ქმნას, რომ
ამ ხუთ ქართველს, ხუთ ამხანაგს ასეთი ბედი და მომავალი
ეშოროდ და იგინი როგორც შეერთებულან, ისევე ერთობით
ამყოფოს. ვეტყვით, რომ მათი ამხანაგობის და ერთად მო-
თავსების და ყოფნის ამბავის გაგება რომ დიმ. ბაქრაძეს. შე-
ეძლოს, მაშინ იგი თავის პაზრს შეიცვლიდა და აღარც
გულგატეხილი იქნებოდა ჩვენს დროებითი დარღვეულს ამხა-
ნაგურს მცნებაზედ. ვნახოთ მომავალი რას გვეტყვის.

ძველი სტამბები

თფილისის სტამბა, რომელიც მეფე ერეკლეს დროს 1781 წ. განახლდა და რაზედაც დაიხარჯა 30 ათასი მანათი; ძირიან-ფესვიანად აკლებულ იქმნა 1795 წ. უბედურებისაგან. ზოგი იარაღები ამ სტამბისა წინედ გადენარჩუნებინად და პალვაბარში დაემარხად, ზოგი გორში წელოდ, 1796 წ. ეს იარაღები შეკრიბეს და თფილისში კვალად გახსნეს ახალი სტამბა. 1801 წ. დამდეგს, ქართლი და კახეთი რუსეთის მმ-პერიას დაუკავშირდა, ამ დროს სამეფო სტამბა დაკეტილი იყო და სტამბის იარაღიც აქეთ-იქით დამალული. 1804 წ. ამ სტამბის იარაღი მთავრობამ მოაძებნინა, მალე იპოვნეს თრი დაზგა და სხვა საჭირო იარაღიც.

1805 წ. თფილისში გაიხსნა რუსის სახელმწიფოს პირველი სტამბა. მცირე ხნის შემდეგ ეს სტამბა შეჩერდა. 1810 წ. სასტამბო იარაღი გადაეცა იმ დროის თფილისის კეთილ შობილთ სასწავლებელს. ამ სასწავლებლის უფროსთა დახმარებით იმავე დროს, სასწავლებლის ახლოს განაახლეს ეს სტამბა. ეს იყო კერძო სტამბა. ამავე დროს ცენზორიც დანიშნეს სასულიერო პირი. პირველ რუსის ცენზორად საქართველოში სამხედრო დეკანოზი ქართველოვი ყოფილა. სტამბაში შაგირდებად სკოლის მოწაფენიც ყოფილან. აქვე ჰქონდათ ქართული ასოები და წიგნებსაც ბეჭდავდენ კიდეც. შემდეგ ეს სტამბა გადაკეთდა სამხედრო სტამბად. დღევანდელ კავკასიის მთავარ-მართებლის სტამბა აქედამ არსებობს, მისი ძირებული დასაწყისი 1781 წელს მისწვდება და იქიდამ ვახტანგ მეფის დროს 1709 წ.

1817 წ. გაუხსნიად მეორე კერძო სტამბა. ამ სტამბაში გამოიცა პირველად ქართული გაზეთი 1818 წ. შემდეგ დროის გაზეთებიც ამ სტამბაში იბეჭდებოდენ, მაგალითებრ: 1821 წ. ადგი გამოიცა კვირის გაზეთი „შმიდა გიორგი“, აღმერქიც 1824 წ. გასტანა. ამ წლის შემდეგ კი ამ სტამბის



საქმე ჩვენ არ ვიცით, რა იქმნა, დაიკეტა თუ დარჩა თფილისში. სტამბის საჭიროება იმ დროის ქართველებში მოკვდა თურმე ძირიან-ფესვიანად.

ახალი სტამბა. სოლომონ დოდაშვილმა ქართული სტამბა გახსნა თფილისში 1828 წ. ამ სტამბის გასახსნელად ფული მისცა მას რუსეთში მყოფმა ბერმა ივანე ხელაშვილმა 6000 მ. ამ სტამბაში გამოიცა პირველად ქართული გაზეთი „თფილისის უწყება“ და 1832 წ. ამავ გაზეთის დამატება თვიური სალიტერატურო ნაწილი „თფილისის უწყებავე“. ეს სტამბა დახურულ იქმნა 1732 წ. შემთხვევის გამო და მისი პატრონიც რუსეთში გაგზავნილი ციმბირად

სოლომონ დოდაშვილისაგან გახსნილი სტამბა იმ დროს ყველაზედ უკეთესი იყო. იგი განათლებული კაცი იყო. სა-ქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ მან პირველ ქართველმა გაათავა სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამის დისერტაცია „ლოლიკა“ რუსულად პეტერბურგში მაშინ-ვებ დაბეჭდილი. სოლომონ დოდაშვილი იყო ერთ უძლიერეს ქართველ მამულიშვილთაგანი.

პირველი სომხური სტამბა, ქართულის ცნობით, სო-მეხთ კათალიკოზ ლუკას 1770 წლებს გაუხსნია ეჩმიაძინში. ამ კათალიკოზს მეფე ერეკლესთან კავშირი აქვნდა და ხშირი მიწერ-მოწერა. პირველად, როცა სომხური. სტამბა იხსინებოდა ეჩმიაძინში, მაშინ, თფილისიდამ, მეფის ბრძანებით, ბევ-რი რამ სასტამბო იარაღი უფეშქაშებიათ ლუკა კათოლიკო-ზისთვის. მაღვე ეს სტამბა ისე გამდიდრებულია, რომ ლუკა კათოლიკოზს მეფე ერეკლეს სტამბისთვის ეროი კარგი (დაზ-გა) საბეჭდი სტანოკიც გამოუგზავნია ფეშქაშად. ამას გარდა გამოუგზავნიად აგრეთვე ფეშქაშად დასაბეჭდი ქალალდი და უცხო სიტყვათა ლექსიკონები, რომელიც კათოლიკოზს ამს-ტერდამიდამ (პოლანდება) გამოუწერია. ეს უნდა მომხდარი-ყოს 1782 წ. შემდეგ, როცა მეფე ერეკლემ თფილისის ძვე-ლი სტამბა განხახლა და რომელი სტამბაც 30 ათასი მანათი დაუჯდათ.

პირველი სომხური სტამბა საქართველოში. თფილისში გაიხსნა ნერსეს კათოლიკოზის მეთაურობით 1827 წ. სტამბა მოათავსა იმ დროის სომხეთა თფილისის ნერსესიანის სემენარიის შენობაში. ამ სტამბაში ქართული ასოებიც აქვნდათ. 1829 წ. აქ დაბეჭდეს ნერსეს კათოლიკოზის ლოცვების პატარა წიგნი, საქართველოს სომხეთათვის ქართულის ასოებით, ხოლო სიტყვები კი სომხურად იყო. საქართველოში პირველად სომხურს ენაზედ დაბეჭდილი წიგნი გამოვიდა 1828 წ. პირველი სემენარიაც ეს ნერსესიანის სემენარია იყო; ესეც პირველი მაგალითი იყო, მინამდე სომხებს თფილისში არც სასწავლებელი აქვნდათ, მათის ენის აღორძინების საქმის დასაწყისი 1828 წლიდამ მიეცა.

შმათა არზანოვებმა, ყიზლარის მდიდად სომხებმა, თფილისში გახსნეს სტამბა 1825 წლებს, ამათ ქართული ასოებიც აქვნდათ. ამ სტამბაში 3. ოსელიანმა ჩახრუხაძის და შავთელის ლექსებიც დასტამბა. 1840 წ. ეს სტამბა მოისპო. თფილისში, იგი უფეშქაშეს იმ დროის ნერსესიანის სემენარიის სტამბას, მანქანა და სტანკები აქედამუკან აღარ წაულიად. არზანოვებს 1830 წლებს, პეტერბურგშიაც აქვნდათ სტამბა, სადაც ბეჭდავდენ ქართულ წიგნებსაც. აქ დასტამბა 1821 წ. გ. ფირალოვმა „რუსულ-ქართული რაზლავორის წიგნიც“, ვრცელი ტოში.

სამხელრო შტაბის სტამბა; 1846 წ. მთავარ-მართებლის სტამბად გადაკეთდა ვორონცოვის ბრძანებით და დაირქვა მთავარ-მართებლის სტამბად. ამ სტამბაში იბეჭდებოდა 1846 წ. კვირის სახელმწიფო გაზეთის „კავკაზის“ და კვირის დამატებათ განცხადება, ქართულ ენაზედ გაზეთი „კავკაზი“.

სტამბა გიორგი ერისთავისა. 1850 წ. ვორონცოვის ბრძანებით, მთავრობის სტამბიდამ ეჩუქა ერთი ძველი დაზგა და ქართული ასოები, ამით გახსნა გ. ერისთავმა. ეს სტამბა: 1852 წ. ამ სტამბაში დაიწყო თვის თვიურ უურნალ „ცის-ქარის“ გამოცემა. აქ სხვა წიგნებიც იბეჭდებოდა. 1854 წ. მოისპო, დაიხურა.

სტამბა ივანე კერესელიძესი. ამან ეს სტამბა 600 წ.
იყიდა გიორგი ერისთავისაგან და 1856 წ. თფილისში გახსნა
ახალი სტამბა. ამ სტამბაში გამოსცა განახლებით 1857 წ.
უურნალ „ცისკარი“. სტანკი უხეირო იყო და მაღე გაუტ-
ყდა. 1860 წლებს ნერსესიანის სემენარიის სტამბის დაზგა
იყიდა, ასოები პეტერბურგიდამ გამოიწერა და ბეჭდა „ცის-
კარი“ და სხვა წიგნები.

სტამბა ეფიანჯიანის და როტინოვის, გახსნილი თფი-
ლის, 1860 წ. აქ გამოიცა 1863 წ. პირველი ქართული
უურნალი „საქართველოს მთამბე“ ილ. ჭავჭავაძის რედაქტო-
რობით. ეს სტამბა დღესაც არსებობს. ტიგრან როტინოვს
ეკუთვნის. აქ მეც მრავლად ვბეჭდე ქართული წიგნები 25
წლის განმავლობაში.

სტამბა ბულდან მუნთოევისა. ბულდან მუნთოევი სა-
ქართველოს სომეხია, კარგად მცოდნე ქართულის ენის და
წერა-კითხვის. სტამბა გახსნა 1855 წლებს, ქართულსაც ბეჭ-
დავდა 1876 წ. გაეყიდა, იყიდეს გ ჩარკვიანის. ამხანაგებშა
და ამათ გახსნეს 1881 წ. ამ სტამბაში გამოიცა ბევრი ქარ-
თული იშვიათი წიგნები.

უურნალ „მნათობის“ სტამბა. 1861 წ. თფილისში
გამოიცა თვიური სამეცნიერო უურნალ „მნათობი“ რედაქ-
ტორად იყო ნიკოლოზ ავალიშვილი, ქართველი მწიგნიბარი,
ცნობილი მოღვაწე, მწერალი, ერთ დროს კარგი მსახიობიც.
კარგი მთარგმნელი. მისი თარგმანი „ლუქა პურის ამბავი“
„მნათობიდამ“ გადმობეჭდილი დღეს ხალხში მშვენიერად
იკითხება, ასევე ამისი თარგმანი „დონ-კიხოტი“ და შილლერის
„ავაზაკებს“ ხომ ხშირად თამაშობენ ქართულს სცენაზედ,
სხვაც ბევრი ნაშრომი აქვს ამ საპატიო პირს. ამან უურნალი
ოთხს წელს ბეჭდა. ამავე უურნალისთვის მას აქვნდა თვის
სტამბა, რომელსაც ეწერა „მნათობის“ რედაქციის სტამბა“.

სტამბა დუბლერისა. გახსნილი 1846 წ. მერე ეს სტამ-
ბა იხურებოდა. 1870 წ. იგი აიღო იჯარით გიორგი წერე-
თელმა და უურნალ „კრებულის“ სტამბად გადააკეთა. გ. წე-

რეთლის დროს ამ სტამბაში გაზეთი „დროება“, „კრებული“ და სხვა წიგნებიც იბეჭდებოდა. მერე დაიკეტა.

ავლაბრის სტამბა. ერთმა სამხედრო რუსმა კრამარენ-კომ 1870 წ. ავლაბარში სტამბა გახსნა. ამანვე იყიდა. დუბ-ლერის და „მნათობის“ სტამბის ქართული ასოები. ამის სტამბაშიაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები. მრავლად მე ამ სტამბაში დავიწყე წიგნის ბეჭდვა კარგა ხნის შემდეგ ესეც დაიკეტა.

ექვთიმე ხელაძის სტამბა. 1874 წ. ივ. კერესელიძეს სტამბა ექვთიმე ხელაძემ იყიდა. და გახსნა თფილისში პატარა ქართული სტამბა. ამ სტამბაშიაც მრავლად იბეჭდებოდა სხვა და სხვა დროს ქართული წიგნები და უურნალ-გაზეთები. ამ სტამბის აღწერა არის ჩვენ. მიერ დაბეჭდილ ქართული სტამბის ისტორიის მეორე წიგნში. 1904 წ. 25 წლის სტამ-ბაში მუშავობის დღეც იდლესასწაული ექ. ხელაძემ. წლის თავზედ, იარმუკაში რომ არევა მოხდა, მაშინ მისი სტამბაც იყვლეს და თვითაც მოკლეს 22 დეკემბერს 1905 წ. ექვთიმე ხელაძის შრომის მოგონება ანუსხული მაქვს იმავ წლის „მო-გზაურის“ ნომერში და იგი ცალკეც არის საღლესასწაულო დღისთვის დასტამბული.

გრიგოლ ჩარკვიანის სტამბა გაიხსნა 1880 წ. მერე. სამხანაგოდ გადაკეთდა. აქ იყვნენ ამხანაგებად გრიგოლ ჩარკვიანი. არსენ კალანდაძე, ალექსანდრე დრევიჩი, ანთომოზ ჯულელი და წიგნის მაღაზიის მხრით მე და სხვანი. 1883 წ. ეს ამხანაგობაც დაირღვა და სტამბაც სამ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი არსენ კალანდაძეს დარჩა და ამან მოაწყო. სტამბა და წიგნების ბეჭდვაც დაიწყო, მაგრამ როგორც ახალ მოშენეს ვალი ემართ თავის სიძის, სიძემ აუწერა სტამბა და გაუყიდა იაფად; რითაც დალუპა კაცი. ეს სტამბა იყიდა ადა-მეციმ, მაგრამ ამასაც საქმის უცოდინრობის გამო დადი ზარალი მოუვიდა, დღეს იგი ცხოვრებით დაცემულია. მერე ამასაც გაეყიდა, იგი იყიდა დავით ლამბაშიძემ და ქუთაის

გადიტანა. ყველა ამ საქმეებზედ დიდი გავლენა აქვნდა ექ-
სელაძეს.

მარტიროსიანცის სტამბა. ოვით მარტიროსიანცი მომ-
სწრე იყო 1830 წლის დოდაშვილის და არზანოვის სტამბე-
ბის, მაშინ თურმე მურის (ფათერჩიკი) წამსმელად იყო იგი
იმ დროს სულ სტანცები მუშავობდა, მაშინა არავის ჰქონ-
და. ბოლოს ეს სტამბა ძალიან წინ წავიდა, ამის სტამბაში
გამოიცა ძვირფასი გამოცემა „ვეფხის ტყაოსანი“ და სხვა
წიგნებიც. ეს სტამბა დღესაც არსებობს.

გართანიანცის სტამბა. გახსნილი სამების ქუჩაზედ
1877 წლებს. აქვნდა ქართული ასოები, მეც ვბეჭდე აქ
ქართული წიგნები, დღესაც არსებობს ეს სტამბა.

„**სინათლე**“ სტამბა, გაიხსნა 1908 წელს. აქ იბეჭდება
ქართული გაზეთი „დროება“.

აქ ხსენებულ სტამბებთ გარდა, თფილისში არის ათამდე
კიდევ სხვა და სხვა პირთა სტამბები. ხუთი სამხედრო სტამბა
არის, ხუთიც კერძო პირების და ერთი თათრებისა, სადაც
თათრული გაზეთები და წიგნები იბეჭდება.

იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების
(1810 წ.) შემდეგ 1840 წლებში ქუთაისში გაიხსნა სიგუ-
ბერნიო სტამბა. ის სტამბა კი რომელიც იმერთა მეფის სო-
ლომონის დროს არსებობდა, დაკავშირების შემდეგ დაიხურა.

პირველი ქართულ-რუსული სტამბა ქუთაისში გახსნა
ჩომახიძემ 1860 წლებში. ეს არის პირველი სტამბა იმერეთ-
ში მას შემდეგ რაც იმერეთი რუსეთს დაუკავშირდა.

სტამბა გამრეცელისა და წულუკიძისა გაიხსნა ქუთაისს,
1880 წლებს. ამ სტამბაში გამოვიდა პირველიც ქუთაისში
კვირის გაზეთი „შრომა“, 1883 წლიდამ. ამ სტამბამ შეიძინა
ის ქართული ასოები, რომელიც 1880 წ. პირველად იქმნა ჩა-
მოსხმული. ამ ასოებით „ვეფხის-ტყაოსანიც“ დაბეჭდეს, მა-
გრამ ასოები არ გავრცელდა ხალხში.

სტამბა გარლამ ჭილაძისა. შეისყიდა ქუთაისში წინან-

დელის ერთის მესტამბე რუსისაგან. არსებობდა რამდენსამე
წელიწადს ვ. ჭილაძეს ხელში 1884 წლიდამ.

სტამბა ილია ჭილინიასი: გაიხსნა ქუთაისს 1897 წ.
სტამბაში იყო მსწრაფ მბეჭდავი მანქანა და სხვა ყველა დარა-
ლები. აქ იბეჭდებოდა მრავლად ქართული წიგნები. თვითონ
ილია ჭილინია ჩვენს მწერლობაში ცნობილი პირია, ქართული
მწიგნობრობის დიდი მოყვარე და ბეჭდვის დიდი მოტრფიალე;
მწერალი მასთან, მაგრამ სტამბის საქმე კარგად ვერ წაუვიდა,
გამოცდილება თუმც აქვნდა, მაგრამ გარემოებამ ისე მოუწყო
საქმე, რომ მისი სტამბა 1900 წლის შემდეგ სხვებზედ გად-
ვიდა.

სტამბა იოსებ ხელაძისა გაიხსნა 1890 წ. ქ. ქუთაისს:
ამხანაგად ჰყვანდა ივ. კირიაძე. ეს სტამბაც ხელს უწყობდა
ქართულ გამოცემათა საქმეებს. თვითონ ეს პირნი სტამბის
ხელოსნები არიან და ამიტომ კარგად წაუვიდათ საქმე. მერე
გაცალკევდნენ.

სტამბა ივანე კოლაძესა გაიხსნა ქუთაისს, 1908 წ. ახა-
ლი სტამბა არის, ჯერეთ ამ სტამბის არსებობის არაფერი ვი-
ცით.

ფოთის სტამბა ლავრენტი ტულუშია გახსნა 1890 წ.
ამ კეთილ საქმეში მას მხარი მისცა აწ განსვენებულმა ალე-
ქსანდრე მახარაძემ, რომელმაც 1880 წ. ბათუმში პირველად
გახსნა ქართულ-რუსული სტამბა: თვით ლავრენტი ტულუშ-
მაც ბათუმში ამ პირთან ოსწავლა სასტამბო ხელობა, ბოლოს
მასვე აღ. მახარაძეს დაესიძავა და მის მერე მოახერხა და ბა-
თუმიდამ ფოთში გადავიდა და კეთილ პირთა დახმარებით
სტამბა გახსნა. თვითონ ეხლა ლავრენტი ტულუში 40 წლებს
მიღწეულია.

ფოთში მოაწყო სტამბა, სტამბაში თვით დატრიალდა,
დაიწყო მუშაკობა და ამწყობიც თვით იყო, მბეჭდავიც, კო-
რექტორი და მუშაც. ეს რომ ას არ ყოფილიყო, უამისოდ
მას სტამბის არსებობის საქმე, ერთობ გაუჭირდებოდა. იმიტომ,
რომ ახალ დაწყებულ საქმეში თუ თვით პატრონი არა ტრია-

ლებს და თუ მას ამ საქმის კოდნაც არა აქვს, უამისოდ მას ძრიელ გაუჭირდება სტამბის წარმოების საქმე. ეს ჩვენ გამო-
ცდილებით ვიცით, მაგალითებიც გვინახავს. ისიც კი უნდა
გავიხსენოთ, რომ სტამბის აღორძინების და გამაგრების საქმე-
ში მის მეუღლე აღათია მახარაძის ასულსაც კაი დიდი ამაგი
და შრომა მიუძღვის. ამათ სტამბის საშუალებით მეგრელთა
შორის მცირედ მაინც შეანათა წიგნის ბეჭდვის სხივებმა, ამას
გარდა ამავ სტამბის საშუალებით ბევრმა სტამბის ხელობაც
შეისწავლა. სხვაფრივადაც ეს სტამბა თავის არსებობით ფოთში
ბეჭდვის საქმეს ხელს კარგად უწყობდა. ფოთში, პირველად
ამ სტამბაში გამოიცენ ქართული წიგნები, წიგნებთ შორის
დაიბეჭდინ ბევრი უძველესი წიგნებიც კი XI საუკუნის და
სხვაც მრავალნი. თვითონ ლავრენტი ტულუში მწიგნობარი
პირია, ქართული წიგნების მოყვარე, მისდევს ქართულ მწერ-
ლობის საქმესაც და ბეჭდავს ხშირად ქართულს სხვა და სხვა
წიგნებს. მიმართულებით და იდეით მთლად ცოლი და ქმარი
საზოგადოებრივ პატივისცემას ემსატურებიან და შრომობენ.
1905 წ. უბედურება ეწვიად, დროებით ამათი სტამბა დაი-
კეტა, შემდეგ ისევ გაღებულ იქმნა, ეხლა მოქმედებს. ამაზედ
იხსლეთ მეორე წიგნშიაც.

ბათუმის სტამბა. 1896 წლებს, კ. თავართქილაძემ, ბა-
თუმში გახსნა სტამბა, ამაზედ იხილეთ მეორე წიგნში:

ბათუმის სტამბა 1903 წ. ბათუმში გახსნეს სტამბა ბ.
კილაძემ და ბატ. თავართქილაძემ. ამათ სტამბასთან წიგნის
მაღაზიაც აქვნდათ, ბეჭდეს ქართული წიგნებიც. 1907 წ. ამ-
ხანაგები გაიყვნენ, ბ. კილაძე თფილისში გაღმოვიდა, ეხლა
იქ ერთი ამხანაგია, სტამბა არსებობს. ბათუმში სხვა სტამბე-
ბიც არის რამდენიმე. იმათ ჩვენ არ ვასახელებთ, ვინაიდგან-
იქ ქართულ ასოებს და ბეჭდვას კავშირი არა აქვს.

სტ. მელიქიშვილის და ამხანაგობის სახელით 1865 წ.
თფილისში - გახსნა ახალი ქართული სტამბა 1866 წ. ამ
სტამბაში გამოიცა კვირის გაზეთი „დროება“, სტამბაში ამხა-
ნაგებად იყვნენ ვახ. თულაშვილი, დ. ბაქრაძე, სტ. მელიქი-

შვილი. ესევე პირი გამომცემი იყო გაზეთ „დროებისა“. ამ სტამბას დიდი ამაგი მიუძღვის ქართული მწიგნობრობის წინაშე. 1870 წლების შემდეგ, სტამბის ამხანაგები ერთმანერთს განშორდენ, სტამბა მარტოდ მელიქიშვილის იყო. ერთხონბით სტამბას განაგებდა იოსებ მელიქიშვილიც. 1889 წ. ეს სტამბა იჯარით აიღო ფრენკელმა, იმ დროის თფილისის იურიდიულის გაზეთის რედაქტორმა. მერე გაიყიდა, იგი შეიძინა იაკობ მანსვეტოვმა. ცოტა ხანს შემდეგ დაარსდა ქართულ წიგნთა გამომცემელი ამჰანაგობა. იაკობ მანსვეტოვმა მთელი სტამბა თავის წილად ამხანაგობას გადასცა. ამჰანაგობამ ამ სტამბით დაიწყო მოქმედება და ერთ ხნობით საქმეც კარგად მიჰყვანდა ჯაბარას. 1908 წ. 15 სექტემბერს, ეს სტამბა წაერთვა ქართველ ამჰანაგობას და უჩუნრად მექალალდე სერგეევის ფირმის ხელში გადავიდა. ამოდოლა პაიშჩიკები დარჩენ ცარიელი და ხახა მშრალი. ყოველივე ამ საქმის შესრულება ჩუმად, საიდუმლოდ შეასრულეს, კაცს არაფერი გაუგია! არ ვიცით, რას ნიშნავს ასეთი საქციელი ჩვენის მეთაურის კაცების? ხალხს არაფერი გააგებინეს, არავის რა შეატყობინეს და ერთ დღეს გამოცხადდა, რომ ამიერიდამ მშვიდობით ქართულ წიგნთა გამომცემელ ამჰანაგობის სტამბავო! მშვიდობით იყავით პაიშჩიკებოვო. დღეიდამ ალარ არს ხსენება ამჰანაგობის სტამბისა. იგი გარდაიცვალა ჩვენის უპატრონობით, თავის დანებებით და საქმის მეთაურთა კაცთა გათახსირებით.

ალექსანდრე ჯაბადარსაც არ უნდა ექმნა ასე, ზარალი იყო თუ რაც იყო, მაინც იგი წევრთათვის უნდა ეცნობებინა და მერე გადაეცათ მოვალეებისთვის. ამის გამო აღ. ჯაბადარზელ ბევრი საყვედურებიც ისმის, ამბობენ, რომ აღ. ჯაბადარმა მთელი წევრები მასხარად ათლო, აბუჩათ აიგდო და ამაგდარ საქმეს ასე უჩუნრად მოულო ბოლოვო. ეს საქმე დიდს უსიამოვნებას გამოიწვევს და იგი არც აღ. ჯაბადრის თვის იქნება კარგიო.

ძმობის სტამბა. საოცნებო ძმობის კაცია ს. ლოსაბერიძე, ესტ. კერესელიძე და მასთან კიდევ სხვანიც, ვინც მათ თანაუგრძნობს, ამ ძმობის და დაფარულ ქრისტიანეთ თავის მომყრელი და დამაარსებელი გახლდათ მჭერიშ შარაძე. რომელიც 1907 წ. გარდაიცვალა, იმ დღიდან ეს სტამბაც სხვების საკუთრებათ გარდიქცა. დღეს იგი ეკუთვნის ს. ლოსაბერიძეს. და ე. კერესელიძეს. ამ პირთა ძმობანი და საქმენი სწორედ საოცნებო ხრისტეს წარმოადგენს, აღრე ამათ ჰყვანდათ ერთი ამხანავი ვასილი გადალიძე, რომელიც კარგა ხანია გარდაიცვალა და მისი 1000 პ. ამ პირებს დარჩათ, ეხლახან შარაძე მოკვდა და მისი წილიც ამათ მიისაკუთრეს. არ ვიცით, თუ ეს პირნი რა უფლებით სარგებლობენ, რა ძალით და რა ძმობის და ქრისტიანობის მაღალის პატივისცემით, რომ ქრისტეს მცნების დარღვევის ქვეშ შესულნი ასეთ მანქანებას ჩადიან და სხვა-ლა-სხვა პირთა ქონებას და ძალას ისაკუთრებენ. სტამბა დღეს მოქმედებს ბნელად, ბეჭდავენ ყოვლად უსიარებლო წიგნებს და მით ერთი ათად ხიბლავენ და გონებას უბნელებენ ისეც დაბნელებულ მდაბიოთ. სტამბა არის ფართო; აქვსთ საკუთარი სახლკარი, არიან მღვთის მოსავნი, არ სჭამენ, არ სმენ, ხოლო ოქრო-ვერცხლს კი ავროვებენ და ბოჭამენ. საჭიროა, რომ ამ დაფარულ და ვითომეც და საქრისტიანო ძმობის სტამბას ყურადღება მიექცეს ვისგანმე და გაცნობილ იქმნეს მათი მოქმედება. ნილაბ ქვეშ. ესენიც სწორედ მეორე ამხანაგობის მსგავსი მეჯადოები არიან.

ვალერიან გუნიას სტამბა. შეიძინა ერთის ებრაელისა-გან და გახსნა 1896 წ. მერე სხვებს გადასცა, რადგანაც ამ სტამბის აღწერა პირველ წიგნში მოვათავსეთ, მიტომ აქ აღარას ვსწერთ.

ლიტოგრაფია საქართველოში.

საქართველოში ლიტოგრაფიასაც ისეთივე ისტორია აქვს, როგორც ქართულ სტამბას. თუმცა ლიტოგრაფიის ისტორია ახალია, მაგრამ მას აქვს ჩვენთვის კარგი მნიშვნელობა, რადგანაც მისი აღორძინების საქმე თფილისში საქართველოს ხელოსნების და მუშების მარჯვენით ეძღვევა აღორძინება და განვითარება. ჩვენის ტომისთვის საჭიროა აინუსხოს ესეც-ქართული წიგნი და ანბანი პირველად ლიტოგრაფიის ქვაზედ პარიზში დაიბეჭდა აკადემიკის ბრძესაგან 1830 წ. ეს წიგნი იყო საქართველოს ისტორიული წიგნი, დღეს „პარიზის ქრონიკად“ წოდებული. ქართული დედანი ლიტოგრაფიის ქვაზედ დაიბეჭდა 1841 წ. ტრიესტში (ავსტრია) არ ვიცით ვისგან, ამბობენ, რომ ტარასი არქიმანდრისისაგანო.

თფილისში პირველად ლიტოგრაფია გაიხსნა 1860 წ. ნემეცის ხელოვანის ოსტატის ტომსონისაგან. ეს ლიტოგრაფია პირველი მაგალითი იყო საქართველოში. ტომსონმა ლიტოგრაფია კარგად მოაწყო, მას დახმარება მისცა იმ დროის მთავარ მმართველმა, ეხმარებოდა აგრეთვე ნემეცი ბირჟე, დიდ გავლენიანი პირი, თავს მჯდომარე იმ დროის თფილისის მუზეუმის, საზოგადო სამკითხველოსი, არხიოცრაფიული კომიტეტის, არქეოლოგიურის, გეოგრაფიულის და ისტორიულის: ესევე ბეჭდავდა „კავკასიის აქტებს“. ამ აქტების სურათები და ზედა ფურცლები და გვერდების არშიები სულ ამ ლიტოგრაფიაშია ნაბეჭდები. ამით ლიტოგრაფია გვეხვდება დადგა.

ტომსონი კარგი, გამოცდილი კაცი იყო თავის საქმეებში. ლიტოგრაფიაში მომუშავედ ევროპიდამ ნასწავლი ნემეცები მოიყვანა. სულ ესენი იყვნენ ლიტოგრაფიაში შომუშავედ, დამხატვნი, გადამღებნი, შეცდავნი და თვით უბრალო მუშებიც სულ ესენი იყვნენ. ტომსონმა თავის დროის კვალად ლიტოგრაფია კარგად მოაწყო. საქმეები ჩინებულად წაუვიდა, დიდალ სამუშავოს შოულობდა. ამიტომ მას ლიტოგრაფიაში

ხელოსანთა და მუშათა მომატებაც უნდებოდა. ამ გარემოებამ მას შემთხვევა მისუა, რომ თვის ლიტოგრაფიაში მოწაფედ და მუშებათ საქართველოს ხალხიდამაც მიეღო ქართველები და სომხები. ეს ასეც იქმნა და ლიტოგრაფიის არსებობის მესამე წელიწადის, ნემეცის ხელოსანთა, მოწაფეთა და მუშათა გვერდით მთელი ჯგუფი გამოჩნდა ქართველების და სომხების. მალე აქვე გაჩნდა შაგირდათ გიორგი ივანეს ძე მუროვი, რომლის საქმე და ცნობა აქ უნდა ავნუსხოთ, ვინაიდან ეს არის პირველ ქართველთაგანი, რომელმაც ლიტოგრაფიის ხელობა შეისწავლა და რომელიც ამ ხელობის ცოდნით, საქმით და ლიტოგრაფიით პირველად გამოსჩნდა საქართველოში.

გიორგი ივანეს ძე დემუროვის დაბადება ეკუთვნის 1854 წლებს, ქ. თფილისს. მშობლები გიორგისა თფილისში სცხოვრებდენ, მთაწმინდაში, თავის საკუთარი სახლ-კარიც აქვნდათ. ტომსონის ლიტოგრაფიაც მთაწმინდაში იყო პირველად, ოვრაჟის ქუჩაზედ, ეხლანდელი ოკრუჟნი. სუდის და პალატის წინ. აქ, ამ ლიტოგრაფიაში, შეგირდათ მივიდა გიორგი დემუროვი. შეგირდობაში იგი იჩენდა დიდს, განუსაზღვრელ შრომის მოყვარეობას და დღე და ღამე მუშავობაში ასწორებდა, მუშავობდა და ხელობასაც დიდის მუყაითობით სწავლობდა. რამდენსამე წელიწადს დარჩა ამ ლიტოგრაფიაში მომუშავედ, ხუთ წელიწადს კი შაგირდათ იყო.

როცა კარგად მოემზადა ლიტოგრაფიის ხელობის საქმეებში და მან თავის თავს დაატყო საკუთარის ლიტოგრაფიის გახსნის უნარი და შნო, მის მერე გავიდა ტომსონისაგან და 1876 წ. ქალაქ თფილის გახსნა საკუთარი ლიტოგრაფია, ეს იყო პირველი მაგალითი საქართველოში ქართველის კაცისაგან. პირველად ამას ლიტოგრაფიისთვის თურმე ბევრი შეწუხება, ბევრი გაჭირება დახვდა წინ, ცალკე ლიტოგრაფიის ქონებრივის სახსრით, ცალკე ხელოვანის ოსტატების და ხელოსნობის მხრით, მაგრამ ყოველივე ამაებს იგი არ უშინდებოდა და თვით როგორც კარგად გამოცდილი კაცი სალიტოგრა-

ფიო მუშავობაში, გადალებაში, ბეჭდვაში და სხვანიც, ყველა შრომას იტანდა, განუსაზღვრელს საქმის, სიყვარულს იჩენდა და ყოველივეს კი ჩინებულად ასრულებდა, საქმეს ისეთი წარმატება ეძლეოდა, რომ მოკლე დროის განმავლობაში, მისი ლიტოგრაფია თფილისში სახელოვან ლიტოგრაფიად გამოჩნდა, მან გაიჩინა ევროპიულად ნასწავლ-ხელოვანი ოსტატები და ამათ გარდა თვის ლიტოგრაფიაში ჩვენის ქვეყნის შვილებიაც მისცა ადგილი და დაიწყო შაგირდების და მუშების მიღება. მალე გიორგი ივანის ძის დემუროვის ლიტოგრაფია გაივსო როგორც ჩვენის ქვეყნის მომუშავე ხალხით, ისევე საქმიანობით.

გიორგი ივანეს ძე დემუროვი მალე ცნობილ იქმნა მთელს თფილისში, თფილის გარეშე, იგი სხვა და სხვა ქვეყნებშიაც გაიცნეს და აქედამ მას თფილისში აუარებელს საქმე-ებსაც უგზავნიდნენ. იმ დროს, თფილისში ფიქრადაც არავის მოუვიდოდა რომ გიორგი ივანეს ძე ქართველი კაცი იყო. ამ პირვა თავის ლიტოგრაფიაში კარგი ზედამხედველობა და ოსტატობა გამოიჩინა, ლიტოგრაფია მალე გააჩაღა საუკეთესო ოსტატებით, სხვა და სხვა საბეჭდავის მანქანებით, დაზგებით, სხვა და სხვა საბეჭდ ქვებით, ერთის სიტყვით ყველა საჭირო იარაღით და ქაღალდებით. ამის საქმის გამცნობი და აღმწერი, როცა კი იქმნება ეს, უეჭველია გიორგი ივანეს ძეს შესაფერს პატივს და ქებას მიუძღვნის, მისგან ხელობის და ლიტოგრაფიის გახსნის საქმეს სამაგალითოდ ანუსსავს, სამახსოვროდ დასტოვებს მომავალის ქართველის თავობისათვის და საყურადღებოდ იქმნება ყოველთვის ის გარემოება, რომ თფილისში, კავკასიელთა ტომთა შორის, თფილისში, ტომსონის შემდეგ, პირველი ლიტოგრაფია ქართველმა კაცმა გიორგი ივანეს ძე დემუროვმა გახსნა.

დრო და დრო ნელ-ნელა გიორგი ივანეს ძე ქარგად წინაურდებოდა როგორც ლიტოგრაფიის საქმიანობით, ისევე ქონებრივის ძალოვნებითაც, ამაობაში იგი დაცოლშვილიან-

და, ეხლა იგი 56 წ. კაცია. სახლობა სამწუხაროდ, ანასტასია
ირაკლის ასული 1907 წ. გარდაეცვალა.

თვით გიორგი დემუროვის სიტყვით, ეს ადამიანი მისი
მარჯვენა მხარი ყოფილა. ჰყავს 10 შვილი, შვილებს აძლევს
შესაფერ სწავლა-განათლებას. როგორც ქართველი კაცი გულ-
შემატკიცარია ჩვენის საქმეებისა და მასთანვე მეტად მოყვარე
და მნატვრელი ჩვენის ტომთა შვილების დაწინაურების, საზო-
გადოთ, საქართველოში, ამ ძირეულს ჩვენს სამშობლოში,
ჩვენის მამაპაპის სისხლით მორწყულ ქვეყანაში; რომ ქართვე-
ლი ერიც ამაღლდეს სწავლა-განათლებით, ხელოსნობით; ვა-
ჭრობით, ქარისნებით, სოვდაგრობით და სხვანი რაცკი ყველა
ტომს აწინაურებს და აბელნიერებს.

უნდა ითქვას, რომ გიორგი ივანეს ძე თავის მოქმედებით
და ლიტოგრაფიის არსებობით დიდათ უწყობდა ხელს ქარ-
თველთა შვილების ამ ხელობის ასპარეზზედ გამოჩენა-გამრავ-
ლებას და ამავ დროს იგი თავს კაცობრივ სიყვარულს არც
სხვა ტომთა შვილებს აკლებდა, მაგალითებრ როგორც სომ-
ხებს და რუსებს, ამათაც იგი ისევე აფასებს და პატრონობს,
როგორც თავის თანამემამულე ქართველებს. ამითი იგი არის
პატივსაცემი და სამაგალითო. სამაგალითოა მითაც, რომ ამ
არევ-დარევის დროს, მან თავის ლიტოგრაფია უვნებლად შეი-
ნახა, მუშებისაგან მიყენებული საქმენი ყოველივე მოითმინა,
ისე დასტოვა, ზარალს უძლვებოდა და ლიტოგრაფიის არსე-
ბობას კი არ სპობდა, ესეც საყურადღებოა ჩვენში მით, რომ
ასეთი პატივისცემა მუშათა და ხელოსანთა წინაშე ბევრმა მე-
ქარხნებმ არ გამოიჩინა. მის ლიტოგრაფიაში მუშავობს
25 კაცზედ მეტი ყოველთვის.

გიორგი ივანეს ძე დემუროვმა თავის შნო და ენერგია
მარტოდ თვილისში არ დასტოვა, ამან თავისი შნო და უნა-
რი სხვაგანაც გამოიჩინა, და ეს რომ მართალია და ჩვენ ამ
პირს სამაგალითო მნიშვნელობას ვაძლევთ, ამას გამოაჩენს მის
ეს ენერგიული საქმენი:

ბაქოში, კარგი ლიტოგრაფია გახსნა 1889 წ. ეს ლიტო-

გრაფია გაუხსნა თავის სიძეს ოთარ ქაიხოსროს ძე ზანდუკელი, ამ ხელობის კარგად მცოდნეს და მარჯვენა მკლავს თავის ცოდნით. 1904 წელ შემთხვევით ბაქოში ვნახე ეს ლიტოგრაფია და გავიცან თვით ოთარ ქაიხოსროს ძე ზანდუკელი და მის ლიტოგრაფიას და ხელოსნობის საქმეს სრული აღმატებულება შევნიშნე და საქმეში ღირსება, რომ ბაქოში ქართველი კაცი ლიტოგრაფიას ინახავს. ლიტოგრაფია ფართოდ არის გამართული და მომუშავენიც მრავლად ჰყავს. თვითონ ოთარ ზანდუკელიც ამაგდარი ხელოსანია ლიტოგრაფიის სახელოსნო ასპარეზზედ და ამაგდარი ჰყავს შვილებიც, თვით შესმენილი კაცია. შვილებს განათლებას აძლევს და ქართული მწიგნობრობის მოყვარეც გახლავსთ.

სამარყანდას გახსნა კარგი ფართო ლიტოგრაფია 1899 წ. ე. ი. იქ რაც არსებობს, მას შემდეგ 10 წელია გასული. ლიტოგრაფია ფართოდ არის გამართული და მასში მუშავობს 72 კაცი. მომუშავეთა შორის უმეტესად თექელები არიან. მუშათა და ხელოსანთა საერთოდ გადაღებული სურათი ვნახე და უნდა მოგახსენოთ, რომ თექელების ნახვამ გამაკვირვა ლიტოგრაფიის ასპარეზზედ. ამის შესახებ მე იქ გიორგი ივანეს ძე დემუროვის საქებრად არას ვიტყვი, ეს თვით ჩვენში გონიერმა მკითხველმა დააფასოს.

ასხაბადს გახსნა ახლად 1907 წ. ესეც სამაგალითოა ქართველის კაცისაგან. იქ მომუშავედ ჰყავს 20 კაცი, საქმე ჯერედ ახალია და ამიტომ ჩვენ ესეც გვიკვირს, რომ იქ ამდენს მუშებს ამუშავებს. ცხადია, რომ მომავალში აქაც საქმე კარგად წაუვა. ჩვენს გათახსირებულს დროში, ქართველის კაცისაგნ, ამდენ ალაგას და ისიც თფილისიდამ ასე შორის, საქმეების შენახვას და ისიც ისეთის ანტიკა სახელოსნო საქმეების, როგორიც ლიტოგრაფია გახლავსთ, ვგონებ; რომ კარგი ენერგიული კაცის თავი და მართვა-გამგეობა და პატრონობა დასჭირდება, ვინაიდგან თვით გიორგი ივანეს ძე ერთთავად თფილისში სცხოვრებს, განაგებს თფილისის ლიტოგრაფიას და ზემო ხსენებულს ლიტოგრაფიებში წელიწადში მხოლოდ ერთხელ მიღის საქმეების და მართვა-გამგეობის სანახვად..

კონსტანტინე იოსების ძე მესხიევი. დაიბადა 1863 წ.
ქ. თფილის. მოგეხსენებათ, რომ მესხიანთ გვარი ძველად-
განვე შენიშნულია როგორც ბრძენ მწიგნობარ კაცთა გვარი.
ამ გვარის წევრთ ქართულის წიგნების გადამწერლობით სახე-
ლი განითქვეს ვახტანგ მეფის დროსვე. შემდეგ დროს, ანუ
მეთვრამეტე საუკ. გასვლამდე, მათ შორის იყვნენ მრავლად
ქართული მწიგნობრობის მუშაკნი, ხელოვნურად წიგნების
გადამწერნი, როგორიც იყო დავით რექტორი, თელავის სე-
მენარიისა, კაცი თავის დროის ფილოსოფი და შესანიშნავი
პალიოგრაფი, ასევე ტარასი არქიმანდრიტი, რომელმაც შეა-
დგინა სამაგალითო ქართული დედანი და რომელიც ტრი-
ესტში (ავსტრია) დაბეჭდა ლიტოგრაფიით 1840 წ. ასეთ
პირთა შთამომავალია კონსტანტინე იოსების ძე მესხიევი.

კონსტანტინე იოსების ძე მესხიევმა ლიტოგრაფია გახსნა
1883 წ. თავის საკუთარს სახლებში, კალოუბნის ეკკლესიის
გვერდით, კარგს, ძალაქის პირველ ალაგას. გიორგი დემუ-
როვის შემდეგ, ის მეორე ქართველია, რომელმაც ასეთ სა-
ხელოსნო საქმეს მოჰკიდა ხელი. თუმცა კონსტანტინე იოსე-
ბის ძეს პატარაობისას ლიტოგრაფიის ხელობა, არ შეუსწავ-
ლია, ხოლო იგი ამ საქმიანობის დიდი მოსიყვარულე ყოფი-
ლა და ბუნებითად წახალისებული, გარეგნულად ლიტოგრა-
ფიის საქმიანობის. ცოდნაც საკმარისად ჰქონია გაცნობილი,
თორემ ხამი და უცნობი კაცი აბა როგორ გაბედავდა და
ლიტოგრაფიის გახსნას მოჰკიდებდა ხელს. ეს ლიტოგრაფია
მან სხვისაგან შეიძინა.

ლიტოგრაფიის გახსნის დღიდამ, კონსტანტინე იოსების
ძემ, თავის საქმის ასპარეზზედ კარგი ჰქონარი და შნო გამოი-
ჩინა, ლიტოგრაფიის წარმოება კარგად დაიწყო, თავისი ცდა
და შრომა ლიტოგრაფიის აოორმინებას არ მოაკლო, იმუშა-
კა, იმეცადინა და თუმც ხამი იყო, მაგრამ მაინც თავის მუ-
ყაითის ცდით და საქმის სიყვარულით, ლიტოგრაფია ფეხზედ
დააყენა, იგი სახელოვან გახადა და ამისთანა ენერგიულის
მოქმედებით თვითაც დაწინაურდა სალიტოგრაფიო საქმეთა.

ცოდნით და სხვანი: დღეს ეს ლიტოგრაფია ცნობილია თფი-
ლისში ისევე როგორც ერთ დამსახურებულ ლიტოგრაფია-
თაგანი.

დღეს ამ ლიტოგრაფიაში მუშაკობს 25 კაცი, აქვს ელე-
ქტორნული მანქანები, ასე რომ სადაც თფილისში პირველ
ხარისხის ლიტოგრაფიები აინტენსიურია, იქ კონსტ. იოსების
ძის ლიტოგრაფიის ფირმაც დაიკავებს ალაგს. დაწყლულებულ
გულს უხარის ჭეშმარიტად, როცა ქართველი კაცი სადმე
ნიჭიერ, ენერგიულ საქმის მოყვარე კაცს ხედავს და ამიტომ
სასიამოვნოა, რომ თფილისში, ქართველთაგანს ეს ლიტო-
გრაფია კარგად აქვს მოწყობილი. თუმცა კონსტანტინე მესა-
ხიევს ლიტოგრაფიის საქმე კარგად მისდიოდა და თვითაც
უძლვებოდა საქმიანობას, მაგრამ იგი მაინც არა სჯერდებოდა
მას და ცდილობდა, რომ ამ საქმის ხელოსნობა უკეთესად
შეასწავლა. ამიტომ იგი წავიდა გერმანიაში და იქ შეისწავლა
ლიტოგრაფიის ხელოვნურად წარმოების საქმიანობა და მას-
თან ფოტოტიპის საქმეები, რასაც ჩვენის მწიგნობრობისთვი-
საც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლიტოგრაფიას დღესაც თვით კონსტ. იოსების ძე აწარ-
მოებს და აწარმოებს სახელოვნად. ამ ლიტოგრაფიაში საქარ-
თველოს ისტორიული სურათები, რუკები და სხვა ასეთი სა-
ქმენიც ხშირად დაბეჭდილან. ხელოვნურად საქმიანობას რომ
აქვს თავისებურად კაი გემოვნების ცოდნის ოსტატობა, ეს
მტკიცდება მიღამაც, რომ თფილისის დიდის გამოფენიდამ
1901 წ. მიღლო დიდი ოქროს მედალი, ესე იგი პირველ ხა-
რისხის ჯილდო. უმთავრესად ხრომო ლიტოგრაფიის და ფო-
ტოტიპის ხელოვნურად ასრულებისათვის. 1888 წ. სამეურ-
ნეო გამოფენიდამ მიღლო დიდი ბრონძის მედალი და სხვაც
მრავალ ამ გვარნი პირადი, თუ წერილობითი მაღლობანი,
კონსტანტინე იოსების ძე მესხიევი როგორც ქართველი კაცი,
ჩვენის ქვეყნის ყველა საზოგადო საქმეებს თანაუგრძნობს,
მასთან ქართველ მწერლობბსაც სწყალობს. 1884 წ. მან
დასტამბა „შოთა რუსთველის ცხოვრება“ და სხვაც ამგვარნი.

მარტო

თვით არის ცოლ-შვილის პატრონი და თვის მუშებში რთვლება სინიდისიერ პირად, უკანასკნელ დროის მუშათა გაი-ვაგლახების დროს, ამანაც აიტანა ყოველივე ზარალი, მუშათა საქმეს არ უღალატა და როგორც გ. დემუროვა, აწარმოვა თავის საქმენი და მუშებს არ ჩაუდგა ჯიბრში, ლი-ტოგრაფია არ დახურა და მით მუშათა წინაშეც დაიმსახურა სრული თანაგრძნობა. მუშებიც მოვალენი არიან რომ შესმენა და გაგება აქვნდესთ ასეთის პირების. ამას ჩვენ მიტომ ვამთობთ, რადგანაც კონსტ მესხიევი სხვებივით კი არ მოი-ქცა, ლიტოგრაფია არ დაკეტა და სხვაგან არ გაიქცა, არამედ აქ თავის მუშების გვერდით დაშთა და აწარმოვა საქმე. თვით კონსტ. იოსების ძე მესხიევი ჯერეთ სიცოცხლით სავსე პი-რია და იმედია იგი თავის საქმეს სახელოვნად აწარმოებს ყოველთვის.

ბულდან მუნთოევის ლიტოგრაფია. 1830 წ. გათქმული იყო თფილისში ნერსესიანის სომეხთა სემენარიის სტამბა. ამ სტამბაში ქართულსაც ბეჭდავდენ. ამავ სტამბაში მოთავსებული ყოფილა ლიტოგრაფია, ანუ ალკოვრაფია, ამის ოსტატი ყოფილა პოლოს გრასერიანცი, სტამბოლიდამ მოსული. ამ სტამბაში უსწავლია სტამბის ხელობა ბულდან მინაიძე მუნთოევს, აქვე გაუცვნია მას ლიტოგრაფიის საქმიანობის ოსტატობაც. სტამბის ხელობის შესწავლის შემდეგ, ბულდან მუნთოევი ქარგლობილამ გასულა და თავისითვის სტამბა გაუ-ხსნია ცალკე 1857 წ. სტამბაში თვით მუშავობდა ყველა-ფერს, იცოდა აწყობა, ბეჭდვა და სხვანი. ამავე დროს მან განიძრახა ლიტოგრაფიის გახსნაც.

მაშინ თურმე, მთელ თბილისში ერთი ლიტოგრაფია იყო, სამხედრო შტაბისა, ვორონცოვის დროს, 1846 წლებს გახსნილი. ბულდან მუნთოევს ამ შტაბის ლიტოგრაფიის ოს-ტატი დაუახლოვებია და ბოლოს ლიტოგრაფიაც გაუხსნია, ეს ყოფილა პირველი მაგალითი, მინიმდე საქართველოში ლიტოგრაფია არავის ჰქონია. ამ ლიტოგრაფიის შემდეგ გა-უხსნია ტომსონს. მაშინ თურმე ლიტოგრაფიაში თითბერზე-

დაც ბეჭდავლნენ, მაგალითებრ ნერსესიანის სემენარიის ლიტოგრაფიაში სულ თოთხერზედ ბეჭდავლენ, ამიტომ მას „ალკოგრაფია“ ეწოდებოდა. შეაბში კი სულ ქვაზედ ბეჭდავლენ, ასევე ბულდან მუნთოევის ლიტოგრაფიაში.

მაშინდელი ხალხი თურქე ჰეკირობდა ლიტოგრაფიის ხილვით. ეს ლიტოგრაფია ბულდან მუნთოევს 1883 წლამდე შერჩა, მერე გაეყიდა, ამ ლიტოგრაფიიდამ არის დაარსებული კ. მესხიევის ლიტოგრაფია. ამავე პირს სტამბა გაეყიდა 1876 წ. თვით ეხლა 70 წლისა არის, რაც სტამბა-ლიტოგრაფიის ხელობაზედ მუშავობს მას შემდეგ გასულია 57. წელიწადი. ამ მოხუცს ეხლაც აქვს ერთი ძველი სალიტოგრაფიო სტანციი და მუშაკობს. ბედ შავს, შარშან შვილი ბაგრატა მოუკლეს და მით გამწირდა. ძველი მესტამბე და ლიტოგრაფიის პატრონი ერთაუ-ერთი ეს არის. ცხოვრებით ხელმოკლეა. ამის დროის სტამბის და ლიტოგრაფიის ხელოსანთ შორის აღარავინ არის დარჩენილი.

უნდა ითქვას, რომ როგორც სტამბის ასპარეზზედ, ისევე ლიტოგრაფიის ხელობაზედაც ბულდან მუნთოევს უა ამაგი მიუძღვის, მის სტამბაში და ლიტოგრაფიაში ბევრს ჩვენის ქვეყნის შვილს შეუსწავლია ეს ხელობა. ჩვენდა სამწუხაროდ, XIX საუკუნის პირველ დროის სტამბების ხელოსნებთა ცნობები ჩვენ სულ არაფერი ვიცით. ლიტოგრაფიის ასპარეზზედ ბულდან მუნთოევის შემდეგ სახელი განითქვეს მელიტოგრაფიუ ტომსონმა და ქვაზედ მხატავმა იაქმატამ და დისტერვიგმა. ნაშეტურ უკანასკნელმა. ასე დარიბაზ თავდება XIX საუკუნის ჩვენი სტამბების ხელოსნობის ისტორია.

1909 წ. შესრულდა 200 წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველად სტამბა გაიხსნა. ამ საგნის შესახებ მე მოხსენება. მივეცი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანაშემწე თავ. პავლე იოსების ძე. თუმანიშვილს და ვსთხოვე; რომ ეს დიდი კულტურული დღე ჩვენის გვარისა რამე სამახსოვრო საქმით აღენიშნად. ასევე ვალდებულია ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და თვით

თფილისის ქალაქის გამგეობაც, რომ ეს დიდებული დღე-
რამე კეთილ საქმით აღინიშნოს. ვიტყვით იმასაც, რომ ამის
ვალდებულება თვით ადგილობრივ მთავრობასაც აწევს კისერ-
ზედ, ვინაიდგან მათი სტამბაჯ დღეს მთავარ-მართებლის სტამ-
ბად წოდებული დაფუძნებულია. 1805. წ. თფილისში იმ საა-
სტამბო სტანკებით და იარაღით, რომელიც მეფე ერეკლეს
საგან 1781 წ. იქნა შეძენილ და სტამბა გახსნილი, რაც
მაშინ მეფეს 30,000 მანეთი დასჯლომია.

ქართული ასოები:

რომელი, ანუ რომის ასო. ამის ყალიბები ჩამოასხეს რომ-
ში 1620 წ. ამიტომ ეხლა მას რომაული ასო ეწოდება. ამ
ასოების სახე უფრო გაალამაზეს და ახალი ასოები ჩამოასხეს.
და 1855 ვენეციაში დაიწყეს ქართული წიგნების ბეჭდვა. რო-
მულ ასოებითვე არის ნაბეჭდი კონსტანტინეპოლის და მონ-
თობანის (ფრანცია) ქართული წიგნები.

წესეური ასო, ანუ აგადემიური. პირველად ეს ასო ჩამოა-
სხეს ვალახის 1703 წ. თფილის ამის ყალიბები შოიტანეს და
ასოები ჩამოასხეს 1708 წ. მოსკოვს 1710 წ. ასევე ხუცური
ასოები, XVIII საუკ. სულ ამ ასოებით იბეჭდებოდენ ქარ-
თული წიგნები. 1840 წ. ეს ასოები გადააკეთა აკადემიკმა-
ბრისევმ, პროფესორ ჩუბინოვმა და პეტერბურგის სამეცნიერო
აკადემიას გადასცეს, მათ ჩამოასხმევინეს ახალი ყალიბები. და
ასოები და ამიტომ მას ეწოდა აკადემიური.

ვენის ასო, ანუ ვენა. ამის ანბანი შეადგინეს 1863 წ. დ.
ბაქრაძემ, ფახ. თულაშვილმა, დ. ყიფიანმა, ნ. ლოლობერიძემ
და სხვათა. მერე ეს ვენას გაგზავნეს, ყალიბები იქ ჩამოასხმე-
ვინეს და ამიტომ დღეს ამ ასოებს ეწოდება ვენის ასო, ანუ ვენა.

ჰარიფული, ანუ ჰარიფის ასო. შეადგინეს და ჩამოასხეს
1873 წ. პარიზში მყოფ ქართველ სტუდენტებმა. ასოების
მთელი კომპლექტი მე მაქვნდა, იგი ლათინურს ჰევანდა, მთლად.
ხალხში ვერ გავრცელდა.

ქუთათური ასო. შეადგინა ანბანი და ყალიბებიც ჩამოა-
სხმევინა კირილე ლორთქითანიძემ, 1883 წ. ქუთაისში გაზე-
თი „შრომა“ ამ ასოებით იწყეს გამოცემა და მით „კუთხის-
ტყაოსანიც“ გამოსცეს, მაგრამ ვერც ეს ასო იქნა ხალხისა-
გან მოწონებული. ამიტომ არც ხმარებაშია იგი დღეს.

002

551

1473/657
5-

გ. პირიავებები

2 თუმანოვის ქუჩა, სახლი 30 ნორი.

ქართული სტამბა 10 კ.
ისტორია ქართული სტამბის და წიგნების ბეჭდვის 20 კ.